



სახელმწიფო მართვის სკოლა
დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კატალოგი

კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სწავლების წელი				ჯამური ECTS კრედიტი	
				I		II			
				ECTS კრედიტი					
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი		
			სასწავლო კომპონენტი						
საგნის კოდი			სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული	20	20	9	3	52	
IRT 5250	არ აქვს	1. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	კურსი წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი თეორიული სკოლების და სკოლის შიგნით არსებული მიმდინარეობების მიმოხილვას. საგნის ფარგლებში სტუდენტები საფუძვლიანად შეისწავლიან რეალიზმის, ლიბერალიზმისა და კონსტრუქტივიზმის სკოლას, ასევე ინგლისურ სკოლას, ეკონომიკურ სტრუქტურალიზმს, ახალ მიდგომებსა და კრიტიკულ თეორიებს. კურსი სიღრმისეულად მიმოხილავს საერთაშორისო ურთიერთობების	6					

			განსხვავებული თეორიული სკოლების სააზროვნო ტრადიციებსა და ინტელექტუალურ წინამძღვრებს. ასევე, ხედვებს საერთაშორისო პოლიტიკის სახელმწიფოებრივ და არა-სახელმწიფოებრივ აქტორთა, ინსტიტუტთა და სისტემათა თაობაზე, როგორც ეპისტემოლოგიური, ასევე ონტოლოგიური კუთხით.					
POLT 5150	არ აქვს	2.პოლიტიკური თეორია	კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ანტიკური ეპოქის პოლიტიკურ თეორიებს, პლატონისა და არისტოტელეს პოლიტიკურ შეხედულებებს, ციცერონის პოლიტიკურ ფილოსოფიას, შუა საუკუნეების მოაზროვნეების - ნეტარი ავგუსტინე, ალ ფარაბი, თომა აქვინელი - პოლიტიკურ თეორიებს, ნიკოლო მაკიაველის პოლიტიკური და ადამიანური მორალის დეფინიციის საკითხებს, ახალი დროის მოაზროვნეთა პოლიტიკურ, სოციალურ და სახელმწიფოებრივ თეორიებს ჯონ ლოკის, თომას ჰობსის, ჟან ჟაკ რუსოს, იმანუელ კანტისა და სხვათა მოძღვრებათა საფუძველზე.	5				
ECON 5150	არ აქვს	3.ეკონომიკა	კურსი მოიცავს ეკონომიკის სახელმწიფო მართვის მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური პრინციპების სიღრმისეულ შესწავლას. განხილულია სახელმწიფოს მიერ როგორც ბიზნეს საქმიანობის, ასევე სექტორული ეკონომიკის რეგულირებისა და მართვის ბერკეტები და ფუნქციები, ასევე სახელმწიფო სტაბილურობის, სხვადასხვა ეკონომიკური და ფინანსური რისკების თავიდან აცილებისა და რაციონალური სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების კონცეპტუალური საკითხები.	5				
AW 5150	არ აქვს	4.აკადემიური წერა	კურსის მიზანია სტუდენტებს გამოუმუშავოს აკადემიური და კვლევითი ნაშრომების მომზადებისა და წარდგენის უნარები. სალექციო კურსი აგებულია საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული პრინციპების გამოყენებით და მიმოიხილავს ტექსტზე მუშაობის ზოგად პრინციპებს, წერის პროცესის შეფასებას და წერისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს, ასევე წერის სხვადასხვა ჟანრებს.	4				
LAW 5350	არ აქვს	5. საერთაშორისო სამართალი	კურსი განიხილავს და შეისწავლის საერთაშორისო სამართალს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში. საერთაშორისო სამართალი წარმოდგენილია, როგორც მისი		6			

			ღირებულებითი (აქსიოლოგიური), ნორმატიული და ინსტიტუციური ასპექტების ერთობლიობა და ერთგვარი კონცეპტუალური ჩარჩო თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისა და ახალი გამოწვევების გასაანალიზებლად, განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებაში.					
IS 5251	არ აქვს	6. საერთაშორისო უსაფრთხოება	სასწავლო კურსის განმავლობაში სტუდენტები გაეცნობიან საერთაშორისო უსაფრთხოების რაობას, მის მრავალგანზომილებიან ხასიათს, სუბიექტებსა და უსაფრთხოების მიღწევის საშუალებებს. შეისწავლიან საერთაშორისო უსაფრთხოების ტრადიციული და შედარებით ახლად წარმოჩენილ თეორიებს, საერთაშორისო უსაფრთხოების სიტემის მთავარ უნივერსალურ და რეგიონალურ საერთაშორისო ინსტიტუტებს, მათი მუშაობის წესსა და მათ როლს ხსენებულ სიტემაში.		5			
NIR5350	არ აქვს	7. ნაციონალიზმი და საერთაშორისო ურთიერთობები	კურსი ითვალისწინებს ნაციონალიზმის ძირითადი საკითხებისა და საერთაშორისო ურთიერთობებზე მისი გავლენის შესახებ სტუდენტის ცოდნის ფორმირებას, უნარების განვითარებას და განწყობილებების ჩამოყალიბებას. კურსი მიმოიხილავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: ერისა და ნაციონალიზმის ცნებები, ნაციონალიზმის ტიპოლოგია, ნაციონალიზმის თეორიები, გეოპოლიტიკური თეორიები, ნაციონალიზმი თანამედროვე მსოფლიოში, მინინაციონალიზმი და ეთნოკონფლიქტები, ნაციონალიზმი ეროვნული ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოება და ა.შ.		5			
RM 5251	არ აქვს	8. კვლევის მეთოდები	კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში გამოყენებული კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები. კურსის წარმატებულად გავლის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა შეძლოს თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ტენდენციებისა და მეთოდების გარკვევა და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება.		4			
CMN 5350	არ აქვს	9. კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები	კურსის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოებისათვის აუცილებელი ის თეორიული და პრაქტიკული წინამძღვარები, რომელთა ცოდნა			5		

			აუცილებელია მომლაპარაკებლის მიერ საკუთარი მიზნების მისაღწევად.					
GFDP 5350	არ აქვს	10. საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა	კურსის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან საქართველოს უახლესი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარების ისტორიას და მის განმსაზღვრელ ფაქტორებს. საერთაშორისო ურთიერთობების, გონიერი ძალისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ძირითადი თეორიების ფარგლებში, კურსში განხილულია საქართველოს საგარეო ურთიერთობები ქვეყნის განვითარებაზე გავლენის მქონე საერთაშორისო აქტორებთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჰიბრიდული ომისა და სტრატეგიული კომუნიკაციის თემატიკას, საგარეო და უსაფრთხოების ეროვნული სისტემის ინსტიტუციონალურ მოწყობას და მისი ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფ პრინციპებსა და მექანიზმებს.			4		
TRD 5450	AW 5050	11. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი	სამაგისტრო ნაშრომის კვლევის დიზაინი მიზნად ისახავს დაეხმაროს სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის შექმნაში. კურსის განმავლობაში სტუდენტები ჩამოაყალიბებენ საკვლევ კითხვას, განავითარებენ ჰიპოთეზას, გამოყოფენ დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს, შეიმუშავებენ სამაგისტრო ნაშრომისთვის აუცილებელ მეთოდოლოგიას, შეარჩევენ შესაბამის თეორიულ სკოლას, რომელიც ხსნის მათ მიერ ჩამოყალიბებულ ჰიპოთეზას.				3	
			არჩევითი სასწავლო კურსების მოდული	10	10	18		38
			<i>საგარეო პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და მშვიდობის ბლოკი</i>					
IR 5050	არ აქვს	12. აშშ-ს მთავრობა და საგარეო პოლიტიკა	კურსის მიზანია, რომ სტუდენტები გაერკვნენ აშშ-ში მთავრობის როლსა და ფუნქციებში, ასევე მთავრობის ისტორიული განვითარების ლოგიკაში და სხვადასხვა პარტიების მიერ პოლიტიკურ პროცესებში შეტანილ წვლილში. კურსში განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა „თავისუფლების“, როგორც ყოველდღიურობის ფენომენის კონცეფციას, რომელიც ჩადებულია დღიურ საქმიანობაში და აშშ-ის კონსტიტუციურ მოწყობაში.	5				

ICPB 5050	არ აქვს	13. საერთაშორისო კონფლიქტები და მშვიდობა	კურსი სტუდენტებს აცნობს საერთაშორისო კონფლიქტების შესწავლის ძირითად თეორიულ მიდგომებს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინისა და მშვიდობის კვლევების ფარგლებში. კურსი ანალიზებს სახელმწიფოთაშორის და შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტებს, რომლებშიც საერთაშორისო მოქმედი პირები არიან ჩართული. სასწავლო კურსი ასევე მიმოიხილავს სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო კონფლიქტების (ომების, ეთნიკური კონფლიქტების და ა.შ.) შეჩერებისა და მხარეებს შორის მშვიდობის დაცვის, დამყარებისა და მშენებლობის გზებს.	5				
CA 5051	არ აქვს	14. აფხაზეთის კონფლიქტი	სასწავლო კურსის მიზანია დაეხმაროს კონფლიქტების მოგვარებით დაინტერესებულ სტუდენტებს უკეთ გაერკვნონ აფხაზეთის კონფლიქტის არსში, მის დეტალებსა და თავისებურებებში. კურსი ასევე მიზნად ისახავს გამოავლინოს კონფლიქტის დარეგულირების პროცესში მონაწილე სხვადასხვა აქტორების ინტერესების და პოზიციების გამოკვეთას.	5				
FPA5050	არ აქვს	15. საგარეო პოლიტიკის ანალიზი: თეორიები და ქეისები	კურსი შედგება რამოდენიმე ნაწილისგან. შესავალში განხილულია საგარეო პოლიტიკის ანალიზის, როგორც დისციპლინის და როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილის არსი. შემდგომ ნაწილში განხილული იქნება საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი თეორიები და იმაზე თუ როგორ ვიყენებთ ამ თეორიებს საგარეო პოლიტიკის შეფასებისას. შემდეგ განიხილება საგარეო პოლიტიკისადმი რამოდენიმე მიდგომა (approaches) და მოდელი, შესაბამისი ქეისებით.	5				
TP 5050	არ აქვს	16. მშვიდობის თეორიები	კურსი ფოკუსირდება მშვიდობის თეორიულ და კონცეპტუალურ ჩარჩოებზე და დაეხმარება სტუდენტებს უკეთ გაიგონ მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტის ანალიზის რთული და მრავალმხრივი ბუნება. ასევე, როგორ არის ორგანიზებული სამშვიდობო საქმიანობა. განხილულ იქნება მშვიდობის თეორია, მშვიდობის მშენებლობა და სამოქალაქო საზოგადოების როლი მშვიდობის მშენებლობაში. კურსი განიხილავს კონფლიქტის რაობას, ზოგადად ომის განზომილებებს და იმ მექანიზმებს, რომლებიც გამოიყენება	5				

			თანამედროვე ეპოქაში ძალადობისა და კონფლიქტების წარმართვისას.					
IT 5050	არ აქვს	17.საერთაშორისო ტერორიზმი	კურსის ფარგლებში შეისწავლება საერთაშორისო ტერორიზმის ძირითადი მახასიათებლები, მისი განვითარების ისტორიული პროცესი, დინამიკა და სხვადასხვა სახის გამოვლინებები. კურსი საშუალებას მისცემს სტუდენტს გაანალიზოს ტერორისტული ორგანიზაციების იდეოლოგია, მოქმედების მეთოდები და ტაქტიკები. კურსის ფარგლებში მიმოვიხილავთ ისეთ საკითხებსაც როგორცაა სუიციდური ტერორიზმი, მარტოხელა მგლის ფენომენი, საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის მექანიზმები რადიკალიზაციასთან ბრძოლის პროცესში და სხვა.			5		
RGP5051	არ აქვს	18. რუსეთის მთავრობა და საგარეო პოლიტიკა	სასწავლო პროგრამის I ნაწილი ეთმობა თეორიულ დისკურსს: სტუდენტები გაეცნობიან ისტორიული მემკვიდრეობის გავლენას თანამედროვე რუსეთის პოლიტიკაზე; შეისწავლიან რუსეთის შიდა პოლიტიკურ პროცესებს, დემოკრატიისა და ფედერალიზმის გამოწვევებს; გაანალიზებენ რუსეთის საგარეო პოლიტიკის დინამიკას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში. კურსის II ნაწილი ეთმობა რუსეთის მრავალმხრივ დიპლომატიას და მის ადგილს საერთაშორისო სისტემაში. III ნაწილში კი მიმოხილული იქნება რუსეთის ორმხრივი ურთიერთობები ამერიკის, ევროპისა და აზიის სახელმწიფოებთან; განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება რუსეთის პოლიტიკაზე პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან მიმართებაში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებსა და კრემლის სტრატეგიაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ.			4		
DPE 5051	არ აქვს	19. დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი	ეს კურსი არის კარგი გზამკვლევი დღევანდელი საქმიანი ურთიერთობებისათვის. იგი მოიცავს შემდეგ თემებს: სოციალური ქცევა, დიპლომატიური ეტიკეტი, საერთაშორისო პროტოკოლი, ვიზიტები და სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა.			4		
PCCC50 51	არ აქვს	20. მშვიდობა, კონფლიქტები და თანამშრომლობა	კურსი სტუდენტებს შესძენს კავკასიის რეგიონის კომპლექსურობის, აქ მცხოვრები ხალხის ეთნიკური მოზაიკისა და კავკასიის ისტორიის, ჯერ რუსეთის იმპერიის,			4		

		კავკასიაში	შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ახლა კი როგორც რუსეთის ფედერაციის ნაწილის შესახებ. კურსი სტუდენტებს სთავაზობს ისტორიულ და ანალიტიკურ ჭრილში მშვიდობის, კონფლიქტებისა და თანაარსებასთან დაკავშირებული საკითხების სიღრმისეულ კვლევას. კურსის დასასრულს, სტუდენტებს ექნებათ რეგიონის შესახებ სრულყოფილი ცოდნა.					
			რეგიონალიზმისა და სექტორული პოლიტიკის ბლოკი					
TEI 5050	არ აქვს	21. ევროპული ინტეგრაციის თეორიები	კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს სრულყოფილი ცოდნა ევროპის ინტეგრაციის თეორიების შესახებ. კურსი ანალიზებს ევროპის ინტეგრაციის მიზეზებს, ამ პროცესის მამოძრავებელ ძალებს (სახელმწიფოები, არა-სახელმწიფო აქტორები, ევროპული ინსტიტუტები) და გვთავაზობს შესაბამის თეორიულ ახსნას. კურსი ინტეგრაციის თეორიებს განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკური თეორიების პრიზმიდან. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები გამოიყენება ევროკავშირში ამჟამად მიმდინარე პროცესების ანალიზისათვის. კურსი ასევე, განიხილავს კონკრეტულ მაგალითებს ევროკავშირის ინტეგრაციის თეორიების ჭრილში.	5				
ECEE5050	არ აქვს	22. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ევროპეიზაცია (ინგლისურად)	Course provides knowledge about the transformative processes that have taken place in Central and Eastern Europe as a result of region's approximation with the European Union. Course provides theoretical outlook on the process of Europeanization. At the same time it will look at different Policy areas where Europeanization was substantial and will examine case studies of particular countries. The course will also look at the accession process, identifying main milestones in the EU's relations with the neighboring countries.		5			
ERG 5050	არ აქვს	23. ენერგო რესურსების გეოპოლიტიკა	კურსის მიზანია მოახდინოს სტუდენტების ყურადღების ფოკუსირება მსოფლიოში მიმდინარე ენერგეტიკული პროცესების შესახებ. სტუდენტები ყურადღებას გაამახვილებენ ისეთ საკითხებზე, როგორც არის ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული დავები, საზღვაო სივრცე და საზღვაო საზღვრების დელიმიტიზაცია, ჰიდრო რესურსები და მათ ირგვლივ არსებულ დავები, მათი გადაჭრის მექანიზმები,		5			

			რეგიონონალური და გლობალური დავები ჰიდროკარბონატებზე (ნავთობი, გაზი, ა.შ.).					
EUAA 5051	არ აქვს	24. ევროკავშირთან ასოცირების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ასპექტები	სასწავლო კურსი ითვალისწინებს ევროკავშირის სამართლებრივი ბუნების, ევროკავშირის მეორეული კანონმდებლობის და ასოცირების შეთანხმების, ევროკავშირ-საქართველოს სამართლებრივი ურთიერთობების ისტორიული დინამიკის გაცნობას სტუდენტებისათვის. ასევე, აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ევროკავშირის სამართალსა და საქართველოს კანონმდებლობაში ასოცირების შეთანხმების ადგილის, სამართლებრივი დაახლოების ცნებისა და პრინციპების, DCFTA -ის მნიშვნელობისა და ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქონლის იმპორტის რეჟიმისა და ევროკავშირის კონკურენციის სამართლის შესახებ. სასწავლო კურსი ასევე ითვალისწინებს პოლიტიკური დიალოგისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების, ხელისუფლების როლის შესწავლას ასოცირების შეთანხმების შესრულებაში.			4		
IRG 5050	არ აქვს	25. საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები	კურსის მიზანია აჩვენოს სტუდენტებს საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების, რეჟიმებისა და ინსტიტუტების როლი ადგილი და პროცესი საერთაშორისო და რეგიონულ პოლიტიკაში. კურსი უპირველეს ყოვლისა მიმოიხილავს საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების თეორიულ საფუძვლებს.			5		
IPE 5050	არ აქვს	26. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა	სასწავლო კურსის მიზანია სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის საერთაშორისო არენაზე პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთქმედების, საერთაშორისო მონეტარული, ფინანსური და სავაჭრო ურთიერთობების ევოლუციისა და კანონზომიერებების, სახელმწიფოსა და ტრანსანაციონალური კორპორაციების ურთიერთობების თაობაზე თეორიული ცოდნის ფორმირება.			5		
SCME 5051	არ აქვს	27. ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკა	ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკის კურსი წარმოადგენს სიღრმისეულ შესავალს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკაში. იგი საერთაშორისო ურთიერთობების ჭრილში განიხილავს ამ რეგიონს პირველი მსოფლიო ომის დასრულებისა და ახალი სახელმწიფოების წარმოქმნის შემდეგ. კურსის ფარგლებში			4		

			მსჯელობის საგანი იქნება ახლო აღმოსავლეთის გეოგრაფია, ეთნო-რელიგიურ შემადგენლობა, რეგიონში არსებულ ნაციონალური და ტრანსნაციონალური იდენტობები და იდეოლოგიები, გლობალური პოლიტიკის გავლენა რეგიონზე და პირიქით, რეგიონის ქვეყნების ეკონომიკა და, გარდა ამისა, კონკრეტული ქვეყნებისა და კონფლიქტების მაგალითები სიღრმისეული ანალიზისათვის.					
			პოლიტიკისა და საჯარო მმართველობის ბლოკი					
SM 5050	არ აქვს	28. სტრატეგიული მენეჯმენტი	კურსში მოცემულია სტრატეგიული აზროვნების განვითარების ევოლუციის დეტალური სურათი, აღწერილია სტრატეგიის თანამედროვე სწავლებანი და 21-ე საუკუნეში სტრატეგიული დაგეგმვისა, სტრატეგიული მართვის თეორიები და საუკეთესო პრაქტიკა, აგრეთვე მოცემულია მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას, სტრატეგიული ინტერვენციების მართვას, სტრატეგიული რისკების შეფასებასა და ანალიზს.	5				
PCOM 5150	არ აქვს	29. პოლიტიკური კომუნიკაცია	პოლიტიკური კომუნიკაციის კურსი სტუდენტებს აძლევს როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე პრაქტიკული რეალობის ანალიზისა და უკეთ გაგების ინსტრუმენტებს. როგორც ინტერდისციპლინარული საგანი, ის მოიცავს რამდენიმე მომიჯნავე მიდგომას. სტუდენტები შეისწავლიან რა სახის ინტერაქცია არსებობს პოლიტიკურ აქტორებსა და საზოგადოებას შორის, რა გავლენა აქვს პოლიტიკოსთა ქმედებებს და საზოგადოებრივ აზრს პოლიტიკასა და საჯარო პოლიტიკის ფორმირებაზე.	5				
PPA 5250	არ აქვს	30. საჯარო პოლიტიკის ანალიზი	კურსი არის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ლექცია-სემინარების ციკლი, რომლის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ის საჯარო პოლიტიკური პროცესები და კონტექსტი, რომელშიც პოლიტიკის ანალიტიკოსებს უწევთ მუშაობა. კურსი სტუდენტებს შეასწავლის პრობლემაზე ორიენტირებული ანალიზის ყველა ძირითად მეთოდს, რისი საშუალებითაც ისინი შეძლებენ ეფექტურად გამოიკვლიონ		6			

			პოლიტიკოსების წინაშე მდგარი საზოგადოებრივი პრობლემები, მოახდინონ მათი გადაწყვეტის გზების სიღრმისეული გააზრება, რჩევის მომზადება და ადვოკატირება. სტუდენტები ისწავლიან პოლიტიკის მემოების და ბრიფების წერას.					
MPP1005 0	არ აქვს	31. თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია და იდეოლოგიები	კურსი წარმოადგენს მსოფლიოს პოლიტიკის ისტორიის უმთავრესი პოლიტიკური იდეოლოგიების მიმოხილვას, რომლებიც დღემდე აქტიურად ქმნიან მსოფლიოს პოლიტიკურ დღის წესრიგს. კურსის მსვლელობისას, სტუდენტები გაეცნობიან უმთავრეს პოლიტიკურ იდეებს, იდეათა სისტემებს, პოლიტიკურ ენებსა და იდეოლოგიებს მეთვრამეტე საუკუნიდან დღემდე. ამასთანავე, კურსი განიხილავს ისტორიულ კონტექსტებს, კრიზისებს, სოციო-პოლიტიკურ კონტექსტებსა და ტრანზიციებს, რომელთა პასუხად ყალიბდებოდა განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგიები.			5		
ESPP 5050	არ აქვს	32. საარჩევნო სისტემები და პოლიტიკური პარტიები	სასწავლო კურსით გათვალისწინებულია სტუდენტმა შეისწავლოს პოლიტიკური პარტიების არსი, მისი საქმიანობა და მნიშვნელობა დემოკრატიულ ქვეყანებში, ასევე საარჩევნო კამპანიის როლი ქვეყნის დემოკრატიული პროცესების განვითარებაში. სტუდენტი შეისწავლის პოლიტიკური პარტიის შექმნისა და მართვის თავისებურებებს და საარჩევნო კამპანიის დაგეგმარებას, მენეჯმენტს და ამ პროცესში საზოგადოებასთან ურთიერთობის თავისებურებებს.			5		
			კვლევითი კომპონენტი					
MAT 5450	RM5250 IRT 5250	33. სამაგისტრო ნაშრომი	სამაგისტრო პროგრამის დასრულებისას მაგისტრანტი ქმნის სამაგისტრო ნაშრომს. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ინდივიდუალურად შესრულებულ კვლევას, რომლის მიზანია სწავლის პროცესში სპეციალიზაციაში აკუმულირებული ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნისა და პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა.				30	

ჯამური ECTS კრედიტები	სემესტრი	30	30	27	33	120
	წელიწადი	60		60		120